# საქართველოს პრემიერ-მინისტრის
# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 504 2019 წლის 6 დეკემბერი ქ. თბილისი

## გ. არველაძისათვის „საქართველოს მთავრობასა და კორეის რესპუბლიკის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

1. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეს გენადი არველაძეს მიენიჭოს „საქართველოს მთავრობასა და კორეის რესპუბლიკის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის უფლებამოსილება.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების საფუძველზე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ნ. თურნავასთვის „საქართველოს მთავრობასა და კორეის რესპუბლიკის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს პრემიერ-მინიტრის 2019 წლის 8 ნოემბრის N 455 ბრძანება.

გიორგი გახარია